# დროშა



წითელარმიელები ეხმარებიან კოლმეურნეებს საგაზაფხულო თესვისათვის მზადებაში

# დროშა

რედაქც. მისამართი: რუსთაველის პრ. № 16
შესავალი წულუკიძის ქუჩიდან

მდივანთან მოლაპარაკება: 12—2 საათამდე.
რედაქცია დაწუნებულ მასალას არ უბრუნებს

ეროვნული ბიბლიოთეკა
F 687



## ვიაჩესლავ მიხეილის ძე მოლოტოვი (სკრიაბინი)

საკავშირო სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე.

# მტკიცდებიან პროლეტარიატის დიქტატურის ორგანოები



**საბჭოთა აპარატში არჩეული დამკვრელი მუშები და მოწინავე კოლმეურნეები**

ზოგან უკვე დასრულდა და ზოგან ეხლა მიმდინარეობს საბჭოების არჩევნები. ამომრჩეველ მუშებმა, ღარიბ და საშუალო გლეხებმა, კოლმეურნეებმა და მოჯამაგირეებმა საბჭოებში გაგზავნეს კლასობრივად მტკიცე და პარტიის ცენტრალური ხაზის დაცვა - გატარებისათვის თავდადებულად მებრძოლი დეპუტატები.

მშრომელმა ამომრჩევლებმა ახალ საბჭოებში აირჩიეს საუკეთესო დამკვრელი მუშები ქალაქად და მოწინავე კოლმეურნეები სოფლად. მათ აირჩიეს აგრეთვე მშრომელი ქალები, როგორც მუშების ისე გლეხების წრიდან. საქართველოს მრავალ რაიონებში ქალები წამოყენებულნი არიან საბჭოების და აღმასკომების თავმჯდომარეებად. მემარჯვენე-„მემარცხენე" ოპორტუნისტებს მშრომელმა მასებმა საკადრისი პასუხი გასცეს. მათი ადგილი არ არის საბჭოებში.

კულაკები ყოველ ღონეს ხმარობდნენ იმისათვის, რომ საბჭოების საარჩევნო კამპანია თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებიათ, საბჭოებში თავიანთი დამქაშები გაეძვრინათ და საბჭოთა აპარატი შიგნიდან გაეხრწნათ. ისინი ამ მიზნის განსახორციელებლად მიმართავდენ მოსყიდვას, ტერორს და აქა-იქ აშკარა ძალადობასაც. მაგრამ... კლასობრივ მტერთა მავნებლურმა მანევრებმა არ გასჭრა. ღარიბ, საშუალო გლეხთა, მოჯამაგირეთა და კოლმეურნეთა აქტივობამ უკუაქცია კულაკების შემოტევა. საარჩევნო კრებებიდან ამომრჩევლებმა დაუზოგავად განდევნეს კულაკები და მათი აგენტები, წაართვეს მათ არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება და უზრუნველ ყვეს საბჭოთა არჩევნების მწყობრად და უდეთიქტოთ ჩატარება.

ახალი საბჭოები უკვე შეუდგენ მუშაობას იმ გეგმების განხორციელებისათვის, რომელიც სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე უნდა შესრულდეს ხუთწლედის მესამე დამკვრელ წელს. ეჭვი არაა, რომ საბჭოების ახალი შემადგენლობა პარტიის ხაზის განუხრელად გატარებით შესძლებს დასახულ ამოცანების შესრულებას.

როგორია ეს ამოცანები?

უპირველესად ყოვლისა საბჭოები უნდა გადაიქცენ სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის ნამდვილ ორგანიზატორებათ. საბჭოები სათავეში უნდა ჩაუდგენ კულაკების და ყველა სახის კლასობრივ მტერთა წინააღმდეგ ბრძოლას. საბჭოებმა გადამწყვეტი ბრძოლა უნდა აწარმოონ პარტიის ლენინური ხაზიდან ყოველგვარი გადახრების წინააღმდეგ და მათ უნდა უზრუნველყონ ამ ხაზის დაუმახინჯებლად გატარება ყველა დარგში. საბჭოებმა უნდა დარაზმონ და შეაკავშირონ მოჯამაგირეობა, ღარიბი, საშუალო გლეხობა და კოლმეურნეთა მასა კულაკური წინააღმდეგობის დამსხვრევის და მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე, მისი, როგორც კლასის, ლიკვიდაციისათვის. საბჭო არის კულაკების წინააღმდეგ ბრძოლის და საკოლმეურნეო მშენებლობის მეთაური და ორგანიზატორი.

ამომრჩევლებმა — მუშებმა, ღარიბმა და საშუალო გლეხებმა, კოლმეურნეებმა და მოჯამაგირეებმა დაავალეს ახალ საბჭოებს, რათა მათ აწარმოონ შეუპოვარი და სისტემატიური ბრძოლა პარტიის გენერალური ხაზის მტკიცედ გატარებისათვის. საბჭოებმა უნდა იბრძოლონ პარტიის ხაზის თაუმახინჯებლად და მთლიანად გატარებისათვის, რადგანაც **„პარტიისა და საბჭოების ხაზი ერთი და იგივე ხაზია"** (მოლოტოვი). ამომრჩევლებმა თავიანთ ახალ საბჭოების განაწესებში ჩასწერეს, რომ ისინი საბჭოებისაგან მოითხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამხ. ლადო სუხიშვილის სახელობის მექანიკური ქარხანა. დამკვრელი კომკავშირელები



თბილისის ტრამვაი. გამომგონებელი და დაწინაურებული მუშები ამხ. კოხრიძე, უზნაძე და კირველაშვილი.



26 კომუნარის სახელობის ქარხანაში ნატახტარის წყალსადენისთვის მილებს ამზადებენ



26 კომუნარის სახელობის ქარხანაში ამწევ მანქანის ასხმა.

---

ვენ მეთაურობას, ბრძოლას და ორგანიზატორობას საფინანსო - საწარმოო გეგმის, კოლექტივიზაციის, სასოფლო - სამეურნეო კამპანიის და სხვა ამოცანების განხორციელების საქმეში. ამომრჩევლებმა ახალი საბჭოების ჯანაწესებში ჩასწერეს მოთხოვნილება იმის შესახებ, რომ საბჭო მოვალეა თავის ამომრჩევლებს სისტემატიურად ჩააბაროს ანგარიში იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებს ის პარტიის და ამომრჩევლების დავალებებს სოციალისტური მშენებლობის დარგში.

მშრომელთა მილიონების თვალი და ყური მიპყრობილია იქითკენ, რომ საბჭოებმა განუხრელად განახორციელონ თავიანთი ამოცანები; მშრომელთა მილიონები დარაზმულია საბჭოების ირგვლივ საბჭოებისათვის დახმარების გასაწევად სოციალისტურ მშენებლობის გეგმების შესრულებისათვის.

ეჭვი არ არის, რომ ასეთ პირობებში ახალი საბჭოები მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულებენ ხუთწლედის მესამე დამკვრელი წლის ბოლშევიკურ გეგმებს.

საბჭოების გადარჩევების კამპანიამ გამოააშკარავა ჩვენი ქვეყნის მშრომელთა პოლიტიკური აქტივობის უდიდესი ზრდა. მეორეს მხრივ არჩევნებმა უფრო ნათლად გვიჩვენეს კლასობრივი მტრების გაბოროტებული წინააღმდეგობის გაძლიერება და ის მანევრები, რომელსაც ისინი აწარმოებენ სოციალისტური მშენებლობის დიადი გეგმის ჩასაშლელად. მომაკვდავ კლასის ალაგვა ჩვენი ქვეყნის სინამდვილიდან სოციალიზმის ძლევამოსილი შეტევით—იწვევს კლასობრივ მტერთა უფრო მეტს გაბოროტებას და გაცოფებას.

მაგრამ გვიანღაა. კაპიტალიზმის ვეშაპს საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა უკვე მოსჭკვეთა მთავარი საარსებო ეშვები, კაპიტალიზმი განწირულია და ის უნდა ჩაეშვას საფლავში. საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი თავის საბჭოების საშუალებით ჩინებულად ასრულებს კაპიტალიზმის მესაფლავის როლს. მთელს ფრონტზე გაშლილი სოციალისტური შეტევის პირველი შედეგები გვეუბნება, რომ საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი უახლოეს მომავალში სავსებით დაასამარებს კაპიტალიზმის ყველა ნაშთებს.

მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოები, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის მებრძოლი ორგანოები, გაშლილი დროშებით მიდიან წინ—სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისაკენ.

ა. ჭოჭუა.



**შავი ქვის დამუშავება ჭიათურაში**

უმაღლესი ხარისხის გამო ჭიათურის მარგანეცმა მსოფლიო ბაზარზე პირველი ადგილი დაიჭირა. მიუხედავად ექსპორტის მრავალ დაბრკოლებებისა, ჭიათურის მარგანეცის მოთხოვნილება თანდათან იზრდება.

# ასოთამწყობი*)

მთელი დღე შრომამ ჩაყლაპა. დაუსვენებელმა წამებამ გააცრილა მზე. სადილის შემდეგ ასოთამწყობი ისევ თავის დაზგას დაუბრუნდა. სანამ ფანჯრები კიდევ აწვდიდა სინათლეს, სწრაფად კენკავდა პატარა უჯრედებიდან ასოებს. აწყობდა, ავსებულ ვერსტატკას „გრანკაზე“ სცლიდა. ასე მუშაობს დიდი ხანია. ტემპი შეუნელებელია, მოქანცვა არ ეტყობა. ლურჯხალათიანი მოძრაობს აქეთ-იქეთ. ურჩევს სხვადასხვა ყალიბის შრიფტს, ზოგი მათგანი ღია თეთრი ფერით მკრთალია, ზოგიც შავი და მსხვილ კვალიანი.

— დაგვიზამთრდა, დაგვიზამთრდა უკვე!

უმატებს შეშას ხეთაგური. დაბალი ტანის კაცი ზის გრძელ მაგიდასთან. გვერდით წებო უდგია. პლაკატებს აკეთებს. ამზადებს აბრებს გასაკრავად. იმარაგებს ბენზინს შრიფტის გასარეცხად. ბენზინის სუნი გუბდება ხშირად ოთახში, ამიტომ ვენტილიაციის ფანჯრები კისრულობენ. სუფთა ჰაერთან ერთად შემოდის დეკემბრის სუსხი.

მემანქანეს ამერიკანკა ყალყზე ყავს დამდგარი. ყოველ ნასვრეტში ასხამს ზეთს. შიგადაშიგ ქაღალდის ძაბრსაც იშველიებს, ცურავს ღერძი. აღარ ილეჭებიან კბილები და ბორბალი შეუმჩნევლად სრიალებს. აპობს ჰაერს ისე სწრაფად, თითქოს დინამოზეა მობმული და დაღვეღილი ტყავი არ აძლევს მოსვენებას, მანქანა უცდის მბეჭდავს. მბეჭდავი გაზეთის შეკრულ გვერდებს. მანამდე ორთავე მოუთმენლად ერთმანეთს ებაასებიან. თავს ირთობენ. მაიქვთ დრო ახალ ახალი საქმის გამოგონებაში.

— მე ჩემი არ ამცილდება მაინც, ჯობს ადრე მოვიცილო თავიდან. ამბობს ვანო.

ასოთამწყობი იღებს გრძელ ქაღალდის ნახევზე დაწერილ წერილს. „შპონით“ ის-

*) დასაწყისი იხ. „დროშა“-ს № 1 (49)

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ბორჯომის საკასრე ქარხანა

რონოდების დატვირთვა წიფლის მორებით სად. საკოჭავში

წავლის მორიგ აბზაცს. ნიშნავს. განაგრძობს ისევ ლითონით წერას. ფანქრით, მელნით ნაწერი ახლა ლითონით იცვლება. შავი მელნის ასოების ადგილს იჭერს თხელი, მაღალფეხიანი ანბანი. ეს შრიფტია, რომელიც რიგზე აწყვია უჯრედებად დატიხრულ ფიცრის ყუთში. ყუთში, რომელსაც თავსახური არა აქვს და უჯრაა გამოსაწევი სტამბაში კარადიდან. აქ კი უჯრები მაგიდებზე აწყვია. სასთუმლად აგურები აქვთ, კისრის გასასწორებლად თავი როს აუწიოს

წერილს წერილი ემატება, გაივსო მაგიდა გრძელი, თასმით შეკრული ნაკრეფით. ამოცალა თეთრი კორპუსი. „ი" ყველაზე უწინ ამოიღო უკანასკნელი ცალი მოუდო ამხანაგს ვანომ. ასოთამწყობი ბრუნდება. თვალი მოავლო ელექტრონით გაჩირაღდნებულ სივრცეს და უკანასკნელი წერილი თავდაღმა დადო. ეს აწყობის ნიშანია. წერილის დამთავრების.

ასოების კენკვაში გაიპარა დრო. საათის ისარი უკვე თორმეტს ებჯინება. ბრიგადის სტამბაში ისევ მუშაობაა გაჩაღებული. გვერდია შესაკრავი. საბეჭდი მანქანა მოელის ამოქმედებას. მისი მძიმე სხეული დადუმებული სდგას, უცდის მემანქანეს, მბეჭდავის მოქანავე ფეხს, რომ აიდგას ენა, აამოძრაოს დგამის ზურგები.

— რამდენი ნათრევია ეს ამერიკანკა! სამოქალაქო ომი ამას არ მოკლებია და სხვა. დაბალი ტონით ამბობს მემანქანე— რეკონსტრუქციაშიაც იღებს მონაწილეობა, დადის რაიონებში პატენტიანი მგზავრივით ხან ავტომობილით, ხან ურმით. მაინც არ ტყდება... მაგარია და ჯაგლაგი. ამის ჯიშის ქალაქის სტამბებში სამი თუ ღა იპოვება. მისი ადგილი დაიჭირა როტაციონებმა. დემონსტრაციებსაც არ აკლებს ხელს. მიდის ავტომობილით და გზადაგზა ბეჭდავს ქუჩებში ლოზუნგებს. ფურცლებს. მაშ როგორ გგონია. მძიმე მაშინებს ხომ ვერ დასძრავ ადგილიდან. ეს ნახევარი ტონა თუა და იოლი საზიდავია. აგერ დუშეთსაც კი მოუწია ხელი. აქეა ჩემო ვანო. ჩვენ მაინც არ აგვცილდება ჩვენი. ამაღამ უნდა შევკრათ გვერდი და დილამდე ბრაგვანი უქნათ...

— არა ბიჭო! შენც ერთი პატარძალივით ამბობ. ჩემი არ ამცილდება. არ ამცილდება და არც ავიცდენ,დილამდე რომ მოუნდე მაინც მოვათავებ. ხვალ მაინც გვექნება გაზეთი.

ვანომ გაიღიმა. გაზეთის სათაური დასდო ლითონის ფიცარზე და რედაქტორისგან მორიგი მოითხოვა.

— ჩვენ დამკვრელები მოვდივართ ტემპით,
ჩვენ დამკვრელები მივდივართ ერთად..
წინ, ყველა ფრონტზე შეტევით
გარდავქმნით ქვეყანას მთლიანად!..

სიმღერით გასწია მემანქანემ თავის მანქანისაკენ. უმღერის გაბრაცებული. დამკვრელი მუშა სოციალიზმზე შეყვარებული. უვლის მაშინას, ეალერსება და სიამოვნობს. იცის, რომ ისიც მასავით მებრძოლია, დამხმარე გაშლილი ფრონტით შეტევაში. თუ არა ის, სხვა ამ შუაღამით ვინ დაეხმარება!.. ერთი ნაწილის დაზიანებაც დაადუმებდა მთელ სხეულს. დაავადმყოფებდა ჯანიერ ვაჟკაცს, ამიტომ ზრუნავს მბეჭდავი თავის მეგობარზე. ის ხელოსანია და ყოველ კარგ ოსტატს უყვარს თავისი მანქანა

ბეჭდვითი ბრიგადა დაუღალავად მუშაობს. ის იბრძვის ფრონტზე. ფრონტი სოფელია: კლასიური მტერი კულაკობა. დასაპყრობი ინდივიდუალური სამეურნეოები და გასამაგრებელი სოციალიზმის უჯრედები, კოლმეურნეობები ამისათვის დაიწყო ვანომ აწყობა დიდი ასოებით: „კოლექტივიზაციისაკენ". ეს დამკვრელი მოწოდებაა. ერთი სიტყვა: შემცველი პროცესის. ის გულისხმობს: გლეხის დარწმუნებას, გადაყვანას ახალ საცხოვრებელზე. ახალ ხიდოგზე. მან დასტოვოს კერძო ბუნაგი. მოშალოს საკუთარი ჭიშკარი და ზედ გამხმარი ცხენის თავის ქალა. მისი ხარი მეზობლისას მიუბას. შეიძინონ ტრაქტორი და მოხნან კოლექტიურად. მისმა ძროხამ საერთო ქოთანში იწველოს და შვილებმა კოლექტივის პურით უნდა ისწავლონ ქვეყნის შენება. შეერთებული ძალით მოსპონ კერძო საკუთრება, მოისპობა კულაკური მეურნეობა, დაინგრევა საკუთრების ციხე-სიმაგრე და თანასწორობა გაშლის იალქნებს. კულტურას დაეუფლება მილიონების მასა. (ვეცხ-

ლი დასწვავს უკანასკნელ ხატს. ბოძზე გააკრავს რელიგიას, და ზედ აბრას მიაკრავს. „ცრუმორწმუნეობა, რელიგია ხალხის მტერია. მან დაგვიტანჯა საუკუნეებით. შორს ჩვენგან. ძირს ფანატიზმი. ჩვენ გვინდა მეცნიერება. განათლება". გლეხი ქალი მორჩება კერასთან ჯდომას. პატარა მეურნე გაიზრდება კოლექტივის ბაგაში. კომუნის საცხოვრებელში. ძირს სილატაკე, გაუმარჯოს კომუნისტურ ცხოვრებას. აი რას იტევდა ფართე სათაური „კოლექტივიზაციისაკენ". გახურებული შანთით სწვავს ის კულაკის გულს. ანადგურებს კლასობრივ მტერს და ფართო ძირითად მასებს ამოძრავებს ერთი მიზნით: წინ, წინ ახალ ქვეყნისაკენ! მიზანმა გაიტაცა ხალხი. კოლექტიური შემოქმედება ქმნის ბოლშევიკურ ტემპებს, რომ სასიკვდილოთ დაკრას ყველას, ყველას, ვინც თუნდაც ოდნავად უკან ეზიდება მას.

— სოცშეჯიბრების დროშა ავსწიოთ მაღლა

სოცშეჯიბრება გავშალოთ ფართოდ....

იწყებს ასოთამწყობი. მებრძოლ ხმაში სჩანს კაცის ბუნება, მტკიცე სიტყვები არღვევს მყუდროებას. დიდი ხანია რადიომ მოისვენა. მიწყდა გადაცემა.

— ჩვენ შევასრულებთ „ხუთწლედს ოთხ წელში".

მოვსპოთ მტერი; გავსწყვიტოთ წელში.

მემანქანე ეჯიბრება ვანოს კუპლეტების შედგენაში. ხალისიანი სიტყვები ფანტავს ღამის მოწყენილობას.

ქუჩაში შემოდგომის ქარი ზუის. დაბა-ქალაქის ბაღი გაძარცულია და ტელეგრაფის ბოძების ჩრდილი სიგრძეზე წამოწოლილან. მოწმენდილ ცაზე ვარსკვლავი ქრება. მთვარეს ბაგა აქვს. ელექტრონს ეჯიბრება მისი სხივები. ფანჯრებიდან შეუმჩნევლად იპარებიან. ქურდულად ეცემა შუქი მაგიდაზე. კორექტორი შეკრთა. თვალი მიავლო არეს და თაფლის ფერი მისი თვალები წამით გადაიკარგენ შორს, ცათა სივრცეში; მნათობთა შორის.

ვანო გვერდს კრავს. ის ასრულებს სხვის მოვალეობასაც. სადაა „ღამის" რედაქტორი, გამომშვები კერძოთ... ან სხვა შუალედი მომუშავენი გაზეთის. ყველას ერთი ასრულებს: დღეც და ღამეც. ასოთამწყობი წერილს წერილს უდგამს. აცილებს შპონით და სადგისით შეიარაღებული ასწორებს შეცდომებს. ლითონის წვერით ამოაგდებს ზევით შემცდარ ასოს და სამაგიეროს კინწის კვრით გზავნის ადგილზე.

— ამდენი შრომით!...

თითქოს მოიქანცა მკლავი, ღამის ორი საათია და მეზობელ სოფლებში ასტეხა მამლებმა განგაში. ვანოს ხმა ჩახლეჩილია. გაუწმენდავი ყელი. ლაპარაკს მოუკლო და ხელი აიჩქარა. სოფელი ძილშია. ისვენებს დღიური მუშა. ყევარი ხარ-კამეჩი იცოხნის და ჯანს იკრეფს ხვალისათვის, რომ გადმოაბრუნოს მიწის გული, ჯერ ხომ ტრაქტორები არა აქვთ ყველა კოლექტივებს.... „წითელი პუტილოველი" არ აქვს ყველას. მხოლოდ ხუთი დაბლობის რაიონში. ერთი კოლონა ყავს შემდგარი მედგარი ბიჭებისაგან კოლმეურნეობათა კავშირს, მაგრამ ფიქრი არ არის. კოლმეურნე იმედიანია. ჯერ ნიკორას, ლეინიას აპატიებს. უვლის მას—ხუთწლედის ბოლოს კი ტრაქტორზე შემჯდარი შემოსძახებს ოროველას. გაუშვებს ველზე ცეცხლებ ანთებულს. ეს იდეალი, იხატება სოფლის გულში. სოფელს, ტკბილად სძინავს და [illegible] შეჰყურ-

რიებს, მომავალს. აწმყოს. სტამბა მუშაობს. მუშები გამალებულან. ოფლს იწმენდს ხეთაგური. ამერიკანკა ღრიალებს. იბეჭდება მეოთხე გვერდი—დამკლავებული სოციალიზმის მშენებელი მუშა არ გავს ძველ, კაპიტალისტის დაქირავებულ მუშას. მემანქანეს 17 წელი გაატარა სტამბაში. კერძო მექარხნეს უგროვა დოვლათი. თვითონ იღებდა ნაგერას. დილიდან დაღამებამდე არ იყო წყვეტა. „ხაზეინი" ჯოხით ადგა თავზე პატარა შეგირდს. არბენინებდა. მეპატრონის ექსპლოატაციას მუშამ დაუპირდაპირა სიმულიაცია, ლოთობა, ყალთაბანდობა. ქარხნის პატრონი მიდის სადღაც.. მუშა ჩერდება. იწყებს ლაყბობას. კუს ემსგავსება შრ[illegible]. მუშამ იცის, რომ ქმნის დოვლათს, მეტს, რასაც თვით იღებს, მაგრამ მას რა სარფა აქვს... რას არგია!.. არაფერი. ის სხვას მიაქვს. სხვა ისქელებს ჯიბეს და ფუფუნებას—განცხრომას ეძლევა. ამიტომ ის ცდილობს მოტყუილებას. დროს უშედეგოთ გაფლანგვას. აბა რამდენი ოინი ჩაუდენია ჩვენს მემანქანეს. რამდენჯერ ჩაუთვლია დასაბეჭდი ფურცლები! ზოგჯერ კი დილამდე თვალდაუხამხამებლად სხვისთვის უმუშავნია. თუ არა ხომ დაითხოვდენ. გაუწყდებოდა პირში ლუკმა. სამაგიეროთ!.. სამაგიეროთ არაფერი. მადლობაც არავის უთქვამს და უმადურს სამი შაური თუ მიულია მეტი.

— შეიძლება შედარება ძველ შრომასთან ახალი შრომის?

კითხულობს ასოთამწყობი. მან შეადარა დაბეჩავებულ, დამონავებულ ყოფას თავისუფლება. მის წინ ჩაიარა მთელმა სერიამ—უკმაყოფილო ნაოჭები აღიბეჭდა მის შუბლზე. რამდენი ტანჯვა... დამცირება.. დაცინვა და უსიტყვო შრომა გაუწევია... მერე ყველაფერი ეს ვისთვის... კაპიტალისტისათვის. მეპატრონისათვის. თვით კი ულუკმო იყო—უცდიდა ჩამომხმარი ცოლი და ატირებული შვილები სახლში. ეძნელებოდა ცარიელი მისვლა. ფეხები უკან რჩებოდა. მაგრამ ძველი ჩაბარდა არხივს. დღეს პატრონია თვით მუშა. მუშათა კოლექტივი. მუშა მშენებელია ახალი ქვეყნის და კმაყოფილი ოჯახით. ქარხანაში რჩება შვიდ საათს. ახლა მისი შრომა სულ სხვაა—მან იცის რისთვის. ვისთვის შრომობს, ვისთვის იქმნება დოვლათი. პროდუქცია. დილიდან იზრდება ტემპი. ბოლშევიკური სიმტკიცით მიდის შეჯიბრებაში დამკვრელი. რკინის ნებაა მისი და გამძლეობა. თვითონ ქმნის ამას. მილიონები იქცევიან ასე. მერეთ და რისთვის უნდა ეს მუშათა კლასს?.. რა იწვევს უდიდეს შრომით აღფრთოვანებას?.. ყველაფერი, ყველაფერი სოციალიზმისთვის, საერთო თანასწორობისათვის. კომუნიზმისათვის.—იმისთვის, რომ შენ ხარ მშენებელი სოციალიზმის. შენ ხარ შემოქმედი და მეტი უნდა გაიღო მომავლისათვის.

გადაჭრა კითხვა მემანქანემ. გიწვევ შეჯიბრში, მაშასადამე გეჯიბრები სოციალიზმისთვის. მუშათა ყოფის გაუმჯობესებისათვის. ვინ მეტ აგურს მოვიტანთ აგურხანიდან დიდ შენობასთან, ვინ უფრო დამკვრელია და შეძლებული. იმსჭვალება აღმაფრენაში კაცი. სასურველმა ფრთები შეისხა და თავს დასტრიალებს. წინ უდგას ბედნიერი მომავალი და ისწრაფვის მისკენ. ვმუშაობთ ღამე. გვისწრებს მამალი, მერეთ რა!.. ჩვენ ფრონტზე ვართ. გადასაქმნელი გვაქვს დიდი არე. უბირი სახნავია ჯერ მიწა. სამაგიეროთ შენ მუშებმა დაგაჯილდოვა. მოგცა საჩუქარი და დღესაც დამკვრელობაში მიღებული ხალათი გაცვია, ხვალაც მიიღებს, თუ არ ჩამორჩი. თუ არ ჩამორჩი საერთო ძახილს.

— მაშ ყოველივე სოციალიზმისთვის:

— ყოველივე სოციალიზმისთვის!

ასოთამწყობს დაუნაცვლა ოფლში მოსვრილმა მემანქანემ. ფეხით ატრიალებს ამერიკანკას. დინამო არაა და საკუთარ ძალას ენდობა ვაჟი. სდგას დაზგასთან მუშა. მაგარი კუნთებით ეზიდება საქმეს.

— ესეც მორჩა! გათავდა ბეჭდვა. მზადაა ხვალის ნომერი ათი ათასი გლეხისთვის!..

მანქანა დგება. გამურული ამერიკანკა სახსრებიდან ოფლის მაგიერ მაზუთს აწვეთებს. რწყავს იატაკს. მისი ნადგამი ატყვია ფიცარზე. მძიმეა და ღრმად ისუნთქავს. არყევს საძირკველს. ითვლება ფურცლები. ეწერება თემების სახელი და ახალი ამბების მომტანი ემზადება ადრე გასამგზავრებლად. სჩანს სურათები: გლეხი ურემს აზის. მოაქვს ტომრები პურის. კოოპერატივს აბარებს კოლექტივის ზედმეტ პურს და ეხმარება სახელმწიფოს. ტრაქტორი სალეწს აბრუნებს და იწყება წლის მოსავალი. დედა სდგას და იცინის. შვილი საბავშო ბაგაში დასტოვა და თვითონ საბჭოთა არჩევნებზეა მოსული. უხარია თავისუფლება.

— რა ლამაზია!.. ასოთ ამწყობმა აიღო გაზეთი. ხელით წინ გაიჭირა და მღიმარეთ ხედავს. უცინის თავის ნამოქმედარს. უხარია, რომ მართლაც მშვენიერი შესახედავია მისი შრომის შედეგი. სიამოვნებს, რომ ხვალ მის ლითონით ნაწერს წაიკითხავს ხალხი. წაიკითხავენ მშრომელი გლეხები. ყუმბარასავით აფეთქდება მხილება და ლაგამი ამოედება ერთ კლასიურ მტერს. ხვალ კიდევ, ზეგაც ასე და იმარჯვებს სოციალიზმი.

—მოგწონს ვანო, რომ ლამაზია?—ამბობს მემანქანე—სილამაზე ის არის, როცა ასრულებ შენს მოვალეობას საზოგადოების წინაშე...

გარეთ სიცივეა. ღმუის გორებზე ქარი. სტამბა დაკეტეს. დასტოვა ბრიგადამ სტამბა. მიდიან ძმები. მიაქვთ მებრძოლი გულები. დასასვენებლად გასწიეს იმ იმედით, რომ ხვალაც ასეთი შრომით წარსდგებიან მშრომელთა წინაშე.

**მიხ. ჩიქოვანი.**



ნოქალაქევის ურმის ქარავნები, რომელთაც ჩააბარეს 50000 ფ. სიმინდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შირაქის ნავთი

ცეცხლი დანთო, შრომის ხელებმა,
სისხლი აგორდა, ძარღვების ტბაში.
შორს გაიტაცეს გზა დამსკვრელებმა
„სამირზაანოს“ გუგუნის ხმაში.

აქ თურმე, წინეთ ნავთის ბუდობი
მიწის სიღრმეში იწვა უძრავათ
და ბნელ ქოხებში, ცეცხლის შუქურა
იძროდა იოგვლივ, უსუსურ ლავათ.

დღეს იქ ბურღები მიწას აპობენ,
შორით ნათდება მათი შუქურა;
შრომის გუგუნი სიტყვებს ამბობენ
ჩვენ გვსურს ავანთოთ: ქვაბები, ქურა,

ჩვენ ბურღვის სახე გულით გვიზიდავს
თითეულ ბურღსა გვინდა ვმართავდეთ
ინდუსტრიალურ ძარღვის თამაში
როცა ჰაერში მედგრათ ალვმართეთ;

შირაქის ნავთი, შირაქის გულში
გატყორცნილია; ვით შორს ისარი;
მიწის ზემოთ, თუ მიწის უფსკრულში
სიცოცხლის ძალა უმრეტი არი.

ბ. ჯევანიშვილი.

---

# აგიტ-კოლონა

## თრიალეთისკენ

1.

გადავირბინეთ მთები ნანისლი,
ხევში გრიგალი ბორგავს ღრიალით,—
ბრიგადელები სოციალიზმის
ლხენით, ხმაურით მივალთ თრიალეთს...

გზა—მოქნეული, როგორც ლაფანი,
გზა—ნაპრალებში გამოფატრული—
უერთდებოდა გადასარბენი
ნიაღვრებისგან ქედებს გაბანილს...

...აქ ვერაგულად
აშლილ გულბანებს—
დაურხევიათ ძახილი მტრული...
დრომ არ გვარგუნა:

ჩვენც ვაუკაცობით
აგველო მთები და ეს ხეობა...
...ჩვენ კი მოვედით თხუთმეტიოდე,
ამოვყუეთ ახალ დროების ქუხილს,—

აღმართ-დაღმართებს სდევდა გზაწვრილი—
და, ათთარივით ავობდა მუხლი...
ლოდების გასწვრივ
ხევი ჩხაოდა,—

და, ჩანჩქერები
ყეფით დიოდენ...
ჩვენ არ დავფანტეთ ძახილი მტრულად,
არც თქვენ აგისხამთ ტანზე ჩაჩქანი—

არ დარხეულა რისხვა გულიდან
და არც მკერდები გადაფატრულა...
გადმოგვევება თქვენი ღიმილი,
მანდილების და ჩოხის ფრიალი...

გადმოგვევება ხმა: მხიარული,
თითქოს ღრეობა იყო თრიალეთს,—
მთიელი მოგვსდევს გვერდში ფანდურით,
ხევში სიმღერებს გააქვთ ხრიალი...

სოფელში შეგვაქვს მზე და ხმაური,
მთიელ ბიჭების ახდა ნატრული:
მზიდან ხალისი გადმოღვარულა
და ავსებს ხევებს ახალ მაყრულით...

...ღამე... ბუხარი და მუგუზლები...
ცეცხლი... ვახშამი და საუბარი...
სულყველაფერი—ცეცხლით ნაფერი
და, ანთებული სიტყვა მთიელის:

„აქ თუ მოსულა ვინმე ოდესმე,
ყოფილა ჩვენზე აშლილი სამტროდ,—
ეხლა ძახილი თქვენი მოგვესმა:
სასიხარულო—გულგამთიები,—

და, თუ ოდესმე ჩამოეზამთროს
აბჯარს აისხამს ყველა მთიელი“—
„ნანისლ თვალებში ჩაგვიდგა დილა,
წამოიმართა მხრები ნაცემი,—

ფასი აიღო ქალის მანდილმა
და, მიაწოდეს პატარებს ცეცხლი“—
„და, სისხამ დილით ჩვენ მივატოვეთ
მთა დაჩეხილი და ვერხვეულა,



მოტორების კონვეიერული წესით აწყობა სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანაში. სურათზე—მოტორების აწყობა.



ბათუმი.—ბაქო-ბათომის ნავთსადენით მიღებულ ნავთის მოწესვა

ლოდებს გადალმა ხევი ჩხაოდა
და, ჩანჩქერები ყეფით დიოდენ.
თქვენ გვაცილებდით გულანთებულნი,
მანდილების და ჩოხის ფრიალით..,

თქვენ არ გმოსავდათ ტანზე ჩაჩქანი,
და, არც ძახილი ისმოდა მტრული,
არც ჩვენ მოგვქონდა დაშნა: ნასისხლი,
მკერდი ნაჩეხი და გაფატრული...

გიორგი შატბერაშვილი.



ბ ა თ ო მ ი — გამოცდილი მუშა-ტეხნიკოსი მექანიკურ სახელოსნოში მოწაფეს ასწავლის მანქანაზე მუშაობას

# ანასეული

ოზურგეთის სამხრეთით, სადაც მდინარე ბჟუჟს თავისი ანცი ტალღებით დაუნგრევია და გაუნადგურებია ექადიის გორაკის ციცაბო კლდის მძლავრი კედელი—მდ. აჭის წყალის შესართავთან ოდესღაც თვალუწვდენელი მშვენიერი ტყით დაფარული მინდორი მხოლოდ ჭალად უქცევია და უზარმაზარი ლოდებით მოუკირწყლავს ორი გიჟი მდინარის ერთმანეთთან ბრძოლას. თვით ქალაქი ოზურგეთი რამდენიმეჯერ ძლივს გადაურჩა დაუპატიჟებელი სტუმრის წალეკვას. მას არ ამაგრებს ადამიანის ლაგამი: ქვითკირის გორაკები, ექადიის სალი კლდის ზღუდე და არც რიყის ქვის დამბები.

[illegible] წყნარია მდინარე ბჟუჟი. გაცოფებული ღრიალით მიაგორებს უზარმაზარ ლოდებს, ანგრევს გამაგრებულ ნაპირებს. აოხრებს ნათეს ველებს. ბევრჯელ ააგეს ხიდი, რომ სოფლელებს ქალაქთან მჭიდრო კავშირი არ გაეწყვიტა, მაგრამ ყველა დაანგრია ბჟუჟმა.

იქ, სადაც ამ ათიოდე წლების წინად არა ერთი და ორი გლეხი გამოსალმებია საყვარელ ცოლ-შვილს, დატვირთული ურმით, იქ, სადაც უგზოობის და უხიდობის [illegible] მშრომელის ჯანსაღი [illegible]ბით სავსე სიცოცხლე იმსხვერპლა მდინარე ბჟუჟის გაშავებულმა ტალღებმა—დღეს იქ უზარმაზარი ხიდია აგებული. ასეული მშრომელის კუნთებს მძლავრად გაუჭედავს რკინის ბოძები მიწის სიღრმეში და ბჟუჟი დაუმორჩილებია ადამიანს. ბჟუჟი ხმაურობს, ეხეთქება რკინის ბოძებს, მაგრამ ამაოდ. ბოძები მედგრად დგას. ხიდზე კი დასრიალებს „საქართველოს ჩაი"-ს საბარგო ავტომობილები. მიდიან გლეხები დატვირთული ურმებით.

ხიდმა ახალი გზა მოითხოვა. ინჟინერ ჩეხოვის პროექტით გზა გორაკის ძირში უნდა გავიდეს. უკვე დაიწყო ახალი გზის გაყვანა. სოფლის ცხოვრებაში ახალი სიცოცხლის ელფერი შემოვიდა. გაკვირვებულია მოხუცი გლეხი მიხელა. მან მთელი ახალგაზრდობა ბჟუჟთან ბრძოლას მოანდომა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ათვალი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძირებს სამუშაოებს. უკვირს, მანქანამ როგორ თავისუფლად გაამაგრა ბოძი. იგი ღრმა მოხუცია, მაგრამ ახალგაზრდობას გრძნობს.

გზა სრულიად ახალია. მის ორგვლივ გამწკრივებულია ხის ორსართულიანი სახლები. სოფლები მეტად კოხტაა, საშუალო გორაკზე გაშენებული, რომელიც თავზე დასცქერის ქალაქ ოზურგეთს და რომელსაც ექადიის გორაკს ეძახიან. მეტად თავისებურია აქაური სოფლები. მოსახლეები ხშირად ერთმანეთთან ნახევარი კილომეტრითაა დაშორებული.

მარცხნივ ახალი ორსართულიანი შენობაა აგებული, რომელიც მეფრინველეთა რაიკავშირის ეკუთვნის. აქ ხელოვნურად გამოყავთ წიწილები. წელიწადში ხუთი ათასზე მეტს ქათამს, ბატს და იხვს ზრდიან. წელს აგრო-ტეხნიკოსის დაუდევრობით გავრცელდა გადამდები სენი და 330 ქათამი დაიხოცა.

სოფლის სიღრმეში უამრავი თონეებია, რომელშიაც აგურს წვავენ. აქ ყოველ შეძლებულ ოჯახს საკუთარი აგურის ქარხანა ჰქონდა. შარშან აგურის ქარხნებზე შედგა არტელები. დღეს აგურის პატარა ქარხნებს კერძო პირები აღარ განაგებენ. კოოპერატიული არტელი ანაწილებს მუშაობას და შემოსავალს.

გზის მარჯვნივ თვალუწვდენელი მინდორია. პატარა, მაგრამ საკმაოდ ფართე გორაკი, თითქოს მეთაურიაო, თავზე დასცქერის მინდორს. საკვირველია თავისი სილამაზით ეს გორაკი. მას ანასეულს ეძახიან. გლეხები ათასნაირად მოგიყვებიან ამ სახელოვნების ისტორიას. ბევრს ეს სიტყვა ოსმალური გონია. ეს მართლაც შეიძლება ასე იყოს. ანასეულისთვის ოსმალები არ იყვნენ იშვიათი სტუმრები...

## დილით.

ანასეული ნისლში გახვეულია. ასეული გლეხები ბარით და ერთი დღის საგზლით ჩქარი ნაბიჯით მიდიან სამუშაოდ. გაზაფხულია. მკერდგაღეღილ გლეხებს შუბლზე ოფლი მოსდით. „გეგმა უნდა შევასრულოთ. თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის არ უნდა დავიშუროთ ენერგია. არც ერთი წამის გაცდენა, უგეგმოთ" —ასეთი დადგენილება მიიღეს გუშინ საერთო კრებაზე.

თვალუწვდენელია ანასეულის ხრიოკი გორაკი. აქ მელიებისა და ტურების საბრძანებელი იყო. იმიდებოდა ძნოლობით გვიმრის ტყეები. შიგ დამრწოდებ ნადირები. სტაცებდენ სოფლელის პირუტყვებს. ღამით მარტო გავლა არავის შეეძლო. სოფელი წლებზე ფეხს იდგამდა. ძროხას, თხას, ღორს საძოვრათ ვერავინ გაუშვებდა.

ეხლა სხვა დრო დადგა. ჩაის მოშენების გაფართოებამ მოითხოვა ანასეულის გორაკი. „საქართველოს ჩაი" ჩაუდგა მოძრაობას სათავეში. დაიწყო მუშაობა ათასწლობით გამოუყენებელი მიწის. მელიები და ტურები დაფრთხენ. ანასეულის გორაკზე აღიმართა სოციალისტური მშენებლობის წითელი დროშა. ანასეულის გორაკზე ჩაეყარა ჩაის უზარმაზარ ქარხანას საძირკველი. აიგო მუშების საერთო საცხოვრებლები. ანასეულის დაყრუებულ გორაკზე აფრატუნდა ხოლტის სისტემის ტრაქტორები.

— ძლივს გადაურჩით—იძახდა ხოსია.

— აწი დავისვენებთ—ბანს აძლევდა მთელი სოფელი.

## ბარიკადები.

ანასეული ისტორიული გორაკი. რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს აქ მოხდა უკანასკნელი სისხლიანი შეტაკება რუსეთის და ოსმალეთის ჯარებს შორის.

შემდეგ ანასეულს არ მიკარებია ადამიაამ ადგილით ისარგებლა ბანდიტურმა ბობომ და ქურდულად გაუხვრიტეს მკერდი ამხანაგ **საშა ობოლაძეს** თავის ორ ამხანაგთან ერთად. ამ ადგილის ბუჩქებიდან ესროლეს დაუღალავ მებრძოლ ბოლშევიკს, ამხ. საშას.

დღეს დაანგრიეს ისტორიული ბარიკადები. ხუთწლიანმა გეგმამ აამეტყველა მრავალ წლებში უტყვი ისტორიული გორაკი. მუშაობას სათავეში ხოსია ჩაუდგა. მას პარტიამ დაავალა ხელმძღვანელობა და ხოსია მთელი თავისი ენერგიით შეუდგა მოვალეობას.

— ამხანაგებო, პირველად უნდა ავაგოთ საერთო ბინები და სასადილოები. ჩქარი ტემპით უნდა გაშენდეს პლანტაცია. მოკლე ხანში უნდა დავამთავროთ სამი ჩაის გადამამუშავებელი ფაბრიკის აგება—ამბობდა ხოსია კომუჯრედის ღია კრებაზე.

— ამისათვის კი ჩვენ უნდა დავირაზმოთ.

## ანასეული ჩაის რაიონია

გაჩაღდა მუშაობა. სპეციალისტების გამორკვევით, ანასეულის მიდამოები საუკეთესო გამოდგა ჩაისათვის.

ხოსია სიხარულით ფეხზე აღარ იდგა. ამ ამდენ ხანს საცდელი მუშაობა მიმდინარეობდა, ეხლა დესეტინები დაითესა ჩაით. უკვე დამთავრდა მუშათა ბინები, სასადილოების და კლუბის აგება. ზეიმით გახსნეს ფაბრიკაც. მანქანები ამეტყველდა.

ანასეული განმტკიცდა. ჩაის მოშენება გაფართოვდა. ანასეული-ოზურგეთი გამოცხადდა „საქართველოს ჩაის" ცენტრალურ რაიონად. საკავშირო მთავრობის დადგენილებით 1931 წელს აქ უნდა მოეწყოს ჩაის საკავშირო ინსტიტუტი. ანასეულმა უნდა გამოზარდოს ჩაის სპეციალისტები.

## საერთო კრებაზე

კრებაზე მნიშვნელოვანი საკითხები იდგა. სახალხო მეურნეობის 5 წლედის 4 წელში შესრულების შესახებ მოხსენება გააკეთა „საქართველოს ჩაი"-ს წარმომადგენელმა.

— ხუთწლედის ბოლოს ანასეული უნდა გახდეს საქართველოს ჩაის უდიდეს გიგანტად,—აღნიშნა მომხსენებელმა.

მუშები გამოდიოდნენ კამათში. ყველას სურვილი დაჭიმული იყო იქეთკენ, რომ თავისი საკუთარი აზრი გამოეთქვა მუშაობის გაუმჯობესებაში. ყველა საქმიან წინადადებებს იძლეოდა.

— ანასეულმა უნდა განამტკიცოს „საქართველოს ჩაის" ცენტრალური რაიონის სახელი. ანასეულმა უნდა დაუმზადოს ჩაი საბჭოთა კავშირის მძლავრ სამრეწველო რაიონებს; ანასეულის საბჭოთა მამულის მუშებმა უნდა იკისრონ ეს ვალდებულება. ჩვენ კომკავშირლები მუშაობის წარმატებით ჩატარებისთვის თავს ვაცხადებთ დამკვრელად—სთქვა კომკავშირელმა კოწიამ.

კოწიას აქ მუშები მეტ სახელად „ნაკითხს" ეძახიან. მართლაც მას ძლიერ უყვარს კითხვა. კოწია ერთ-ერთი ძველი კომკავშირელია. იგი მოჯამაგიროდ ყავდა აზნაურ თაყაიშვილს სოფელში. დღედაღამეს აუტანელ შრომაში და ცემა-ტყეპაში ატარებდა. ორი პატარა ძმა სიმშილით დაეხოცა ოსმალების შემოსევის დროს 1918 წელში. მამა თათრებმა მოუკლეს. გაჭირვებული დედაც ოსმალებმა მოსტაცეს. კოწიამ ვერ აიტანა მწარე გაჭირვება. იგი მაშინ თერთმეტი წლის ძლივს იქნებოდა. გაექცა თაყაიშვილს.

12 წლის კოწიას ძლიერ უნდოდა სწავლა, მაგრამ ნაკაშიძემ აუკრძალა. კოწიას ნორჩმა ამხანაგებმა მისცეს „ახალგაზრდა კომუნისტი"-ს ნომერი—წაიკითხე ბევრ რამეს გაიგებო—ურჩევდენ. კოწიას გულით უნდოდა წაკითხვა, მაგრამ კითხვა არ იცოდა. ნაკაშიძემ უნახა გაზეთი. უმოწყალოდ სცემა კოწიას და სახლიდან გააგდო.

დარჩა უპატრონოდ კოწია, უსახლკაროდ და ულუკმაპუროდ. ამ დროს მოხდა საქართველოს გასაბჭოება. კოწია ბავშთა თავშესაფარში მოათავსეს. ისწავლა წერა-კითხვა. გახდა კომკავშირელი. დღეს კოწია 22 წლისაა. რაიკომმა იგი ანასეულის კომკავშირის ბიუროკოლექტივის მდივნად გამოაგზავნა. მუშაობს აქტიურად. მას უყვარს კითხვა. მისთვის საყვარელი გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი"-ა.

საერთო კრებაზე ბევრმა მუშამ გამოაცხადა თავი დამკვრელად. კრებამ მიიღო დადგენილებანი და პრაქტიკული მითითებანი. ყველა მხიარული დაბრუნდა სამუშაოზე.

—დაიცადონ, ბევრს ყვირიან, მაგრამ.... ვნახოთ... ვნახოთ... ბურდღუნებდა თავისთვის კულაკი ოტია, რომელიც ჩუმად უსმენდა თურმე კრებას, და სახლისკენ ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა.

## უეცარი შემთხვევა

მუშები სამუშაოდ იყვნენ გასული. მათი მხიარული სახე, დაუზარებელი და ხალისიანი მუშაობა ხოსიას ხანში შესულ სისხლს უახალგაზრდავებდა. სიამოვნებით დაჰყურებდა თვალუწვდენელ—ამწვანებულ მინდორს, რომელიც ოდესღაც გავერანებული ნადირების სათარეშო იყო.

ერთმა მუშამ მიწაში ძველი ყუმბარა იპოვნა. ყუმბარა ძალზე დაჟანგული იყო. ცნობის მოყვარე მუშები ირგვლივ შემოსხდნენ.

— რუსეთ-ოსმალეთის ომის დროისაა—ამბობდა ერთი.

— შეხედე როგორ მოუღწევია ჩვენამდე—დაუმატა მეორემ.

— წავიღოთ, ინჟინრებს ვაჩვენოთ—ამბობდა კიდევ სხვა.

ვიღაცამ ყუმბარას ბარი დაჰკრა. ყუმბარა აფეთქდა. მოისმა საშინელი გრგვინვა, დადგა მტვერი და ბოლი.

ექვსი დამკვრელი მუშა იმსხვერპლა ყუმბარამ.. მსუბუქად დაიჭრა ხოსიაც.

სამწუხარო ამბავი ყველას მოედო.

სასწრაფოდ წაიყვანეს დაჭრილები საავადმყოფოში. ხოსია ორ მუშას მიყავდა, ტკივილებისაგან ხელებს იმტვრევდა და ბაგეებს იკვნეტდა.

## ზეიმი

ნონია ადრე გამოვიდა საავადმყოფოდან. დიდის ამბით დაასაფლავეს ტრაგიკულად დაღუპული ამხანაგები.

მუშაობა კვლავ გაჩაღდა. ანასეულის ჩაის დამმუშავებელი ორი ფაბრიკა უკვე დამთავრდა. დაითესა ათეული დესეტინა ჩაი, სოია, სიმინდი, ბრინჯი. საბჭოთა მამულის მუშებმა თესვის გეგმა 25 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულეს.

დილის 9 საათია.

კლუბის წინ თავს იყრიან მუშები. ყველა სიხარულით მოელის ხოსიას. „საქართველოს ჩაიმ" ანასეულის მამულს სამი ტრაქტორი გამოუგზავნა. ხოსია მის მოსაყვანადაა წასული.

გამოჩნდა ხოსიაც. მოფრატუნობდა ხოლტის სისტემის ტრაქტორის კოლონა. იგი ზანტად მიადგამდა თავის გრძელფრჩხილიან ფეხებს და დაკლაკნილ ნაკვალევს სტოვებდა უკან. გოგო-ბიჭები ჟივილ-ხივილით მოსდევდნენ ტრაქტორს.

# მეორე აკადე მიური თეატრი

ეროვნული ბიბლიოთეკა







მარჯანიშვილის სახელობის მეორე აკადემიურმა თეატრმა თავისი სეზონი გახსნა უკრაინელ მწერლის კულიბის პიესა „კომუნა ველზე“-თი.

# „დ ე - ი უ რ ე“

იდგა თებერვლის ყინვები და გაძვალტყავებული გურიის მიდამოები.

ქვენა ქარს სათხელამურე თოვლი დაეყარა სოფლებში და ლოჯეში ნაშენი ხის სახლები ჭრიალებდა თოვლის სიმძიმის ქვეშ.

ჰაერში იდგა რძესავით მღვრიე, ფიფქი თოვლის კორიანტელი და ქედებიდან გადმოვარდნილ ჭალიკონს გაცეხვილ ლომის ნახორივით გადაქონდა ჩოღრო ადგილებში ნაბუქი თოვლი და ხოშკაკალი.

თოვლის სიმაღლე თვალდახელშუა მატულობდა, მატულობდა და...

— ჯინზე ახლა ჩამეიქცა და ჩამოსკურიეთდა.—საყვედურობდენ ხანშესული გურულები.

რაიონული ერობის წინ ხალხი მოგროვილიყო.

აქ იყვენ შორეულ სოფლებიდან ფეხით ჩამოსულნი.

დაბა ჩოხატაური ჯერ კიდევ გირლიანდებით იყო მოკაზმული: ამას წინად საქართველოს დე-იურე იზეიმეს და იდღესასწაულეს, ამიტომ გირლიანდებიც შერჩა რაიონულ დაწესებულებებს, სავაჭრო დუქნებს და კერძო ბინებსაც და სახელდახელოდ გაკრული საზეიმო პლაკატები.

კურკანტელს, ჯერ კიდევ თოვლის მოსვლამდი, ბელურებმა ჩაუნისკარტეს, ხოლო გაჩხოკილი ეკლის გორგლები და შეტრუსული ბზისა და ნაძვის ტოტები დღესაც საცოდავად გამოიყურებოდენ თოვლით შეფუფქულ სვეტებზე.

თოვს...

გვარდიის შტაბის შენობის ქვეშ, კუხიანიძის სახარაზოს წინ გვარდიელები შეგროვდა.

ინგლისურ ყვითელ ბატინკებსა და ყაშმირის საკოსტუმებზე ჩამოუგდიათ საუბარი... ტანფეხმორთულობასა და კარგი სისტემის იარაღებზე ამეტყველებულა „სახელოვან მებრძოლთა“ რაზმი.

— ორი, ყაშმირის, საკოსტუმე ჩავარტყი ახლა რომ ბათომში ვიყავი, მარა მარჯვენა ხელიდან მარცხენას არ მისცემ ისეთი გადასარევი რამეა.—მოუთხრობს ამხანაგებს ქერა გვარდიელი და თავის კუდივით აპრეხილ ულვაშებს ბოლოს უგრეხს და ისწორებს.

— ჯოჯი ვერ იშოვე?

— ჯორი რა ეშმაკათ მიხდოდა, ჩემი არაბული „ყორანი“ ქვეყანას მოსწონს და ეხარბება.

— რა გიჭირთ ბიძია, რა—ჩაერია საუბარში სოფლიდან ჩამოსული გლეხი, რომელიც, როგორც ეტყობოდა, საკმაოდ ერკვეოდა მომენტის საჭირბოროტო საკითხებში—კაი ჩაცმა-დახურვა, კაი ჯამაგირი და თეთრი პური გვარდიელებს, კაი იარაღი გვარდიელებს, ინგლისური საქოხელი და ბატინკები გვარდიელებს, არაბული იარაღები და საძხედრო ალაფი გვარდიელების ოჯახებს.

— ეი, ეი... რას მიედ-მოედები...—ამოძრავდენ ოდნავ გვარდიელები.

— სამაგიეროდ—არ იშლიდა თავისას სოფლელი გლეხი და თანდათან ბრაზით ქნთებოდა...

— საძაგიეროდ: სიტიტვლე, შიმშილი, აბუჩად აგდება, მატლებიანი ჭადი და პირდაპირ პოზიციებზე გადამწყვეტი ბრძოლების ატანა ქალამნიან ჯარისკაცებს....

ჯარისკაცი და ქალამანი? სად გაგონილა? ვის მოსწონია? მაგრამ მიუხედავად ამისა, მიუხედავად ყოველგვარი სიძნელეებისა, როცა რეგულიარული ჯარი იმარჯვებდა რომელიმე ფრონტზე, სახელი და დიდება თქვენ გრჩებოდათ, აი თქვენისთანა „ვაჟკაცებს“..

— შენ ეი, რა დემაგოგიას ეწევი თუ იცი?—შეუბღვირეს სოფლელს ზოგიერთებმა...

— წეიბალშევიკებს, ხომ ატყობ?—შეათამაშა წარბი ქერა გვარდიელმა.

— ერთი შენც!—გამოესარჩლა სოფლელს ახალგაზრდა ბუშლატიანი, რომელიც კარგად იცნობდა სოფლელ გლეხს და სიტყვის ბანზე შეგდება სცადა...

— ტყვილს ვამბობ, თუ,— არ იშლიდა თავისას ქერა და სოფლელს დაწკურულ თვალებით ზვერავდა.

— დაანებე თავი, მისი გაჭირვება ეყოფა.

— აქვს-ენტი, ნუ იცი შენ საქმის ასე „გაპუსტიაკება“:

— არა, მამაგიცხონდა...—ჩაერია სხვებიც ლაპარაკში—რა დროს კინკლაობაა, ქვეყანა იქცევა.—შეიორთქლა ევტიხიმ სიცივისაგან შეწითლებული ხელები და ადგილზე ბუქნა დაიწყო.

— არა, მოდი მართლა და ამის შემდეგ ღმერთს ჰკუა კითხე—

— იშოვა დრო ბუშლატიანმა ახალგაზრდამ, სოფლელს გლეხს თვალი ჩაუკრა „აქედან მოეცალეო“ და ეშმაკურად განაგრძო—აქედან ბოლშევიკები გვიჩუჩხურებენ და ამ ქვენა ქარმაც ჯინზე ახლა წამოგვაყარა თავზე ხოშკაკალი.

— გვარდიელებმა ერთმანეთს გადახედეს... მომავალ სოფლელს თვალი გააყოლეს...

— ნეტავი შენ რომ ხუმრობის გუნებაზე ხარ.—შენიშნეს ბუშლატიანს ზოგიერთებმა.

— არა, მამაგიცხონდა დავჯდები და შავებს შევიკერავ... ან კიდევ უღლად სანთელს ვიყიდი სოფრომ მღვდელის ეკლესიაში და ქვეყნის გადასარჩენად ლიტანიას გავაკეთებ.

— შენ რომ იცი იმისთანა კიდევ ჰო... და ისე ლიტანიის კეთება ამ ყიამეთში მართლა რომ ვერაფერი სასიამოვნოა.—ჩაურთო ევტიხიმ თავის მხრივ და ბუშლატიანს მუჯლუგუნი წაჰკრა „ხომ სწორად დაგემოწმეო“.

ევტიხის არავინ გამოედავა.

გვარდის შენობის წინ ხალხი ირეოდა.

ხალხი: თოფიანი და იარაღასხმული.

ჩაცმულობა მათი—ჭრელი და მრავალნაირი.

წლოვანება—უფრო არეული.

აქ, თხუთმეტ-თექვსმეტი წლის გიმნაზიელსაც მოკრავთ თვალს გადაჭრილი შაშხანით ან ფრანგული თოფებით ჩაყარამანე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზულს, სათადარიგო ჯარისკაცსაც და სამოცი-სამოცდახუთი წლის მოხუცსაც, ზოგი მათგანი ძლივს რომ დალასლასებს და წელში ხელკავსავით მოხრილი, გაჭირვებით რომ დაათრევს სამხედრო „აბჯარასხმულობას“.

დაჟანგული თოფები და ცარიელი პატრონტაშები. ცხრაას ხუთის ბერდანები...

ნასაკირალზე რომ იბრძოდენ კრილოვის დამსჯელ ექსპედიციის წინააღმდეგ.... ახლა კი...

— რა დროს ჩემი ომია...—იმჯილებიან ჩუმად ხანშესულები.

— თოფის თრევა კი არა.. თავს ვერ დავათრევ..,—უჩივიან ერთმანეთს ზოგიერთები

სამაგიეროდ:

„სახელოვანი გვარდია“ ხომ ყველას თვალებს უბრმავებს გარეგნულად ბრწყინვალე საომარმორთულობით.

გვარდიელები...

პარაბელიუმი და ბრაუნინგი რომ დამხმარე იარაღათ გაურჭვია ქამარში, მაუზერი რომ ტარზე მოუმარჯვებია, სამი-ოთხი ხელბომბი რომ ქამარზე აუსხამს კახურ ჩურჩხელებივით და მოკლე ყარაბინი ღლიავ მხრად რომ გადაუგდია „ყოველ შემთხვევისათვის“, როგორც ამას თვითონვე ამბობენ იაგორის დუქანში ადესა ღვინით შებრუჟებულნი...

ჩადამბაჩებულან, მაგრამ...

— აქანე რას დაათრევ ბიძია მაგ ლორის ქილვს, თუ კაი ვაჟკაცი ხარ ფრონტზე წაბრძანდი,..—წამოსძახებენ ხშირად რაიონულ „არწივებს“, მაგრამ...

დაბაში მყუდრო ცხოვრებას, აბა რომელი ფრონტი სჯობია?!..

— რა დროს ომია... ვის ვეომებით?—ივინებიან ჩუმად ხელმარტო სოფლელები, რომელთაც სახლის დამთოლავი არავის ეგულვება ქალებისა და ბავშვების ამარა მიტოვებულ ოჯახებში.

ივინებიან, მაგრამ...

„თავისუფალი საქართველო“ ხომ განსაცდელშია.

„დამოუკიდებელი რესპუბლიკა“, ხომ უკანასკნელ დღეებს ითვლის ისედაც ხანმოკლე არსებობისას.

ერთი სიტყვით, ამ სამი თუ ორნახევარი წლის მანძილზე დაგროვებული ისტორიული გაუგებრობა ხომ ცამტვერდება?!

და აი ასეთ ფიქრებსა და ორჭოფ ოცნებაში ალამებს დღეს ყოველი „მებრძოლი“ თუ თავისუფალი მოქალაქე.

ალამებს, ასეთ უცნაურსა და დახისლულ ფიქრებში, მაშინ, როცა ყოველი წუთი, ათ წელს პრემიერ-მინისტრის სავარძელში ჯდომას უდრის ზოგიერთისთვის, ხოლო ბევრი კი. თავის „სულის კოლოფ“ კესარიასთან ერთად საკუთარ ფაცხაში ჯდომა რომ ურჩევნია, თუ გინდ ერთი წუთით ბოლშევიკებთან შებრძოლებას...

— მოდიან, მოდიან.—ამბობენ სოფლელები.

— რავა, აი ლეჩხუმი, ჩოხატაური და ხიდისთავი ბოლშევიკებით არ არის სავსე?!. სოფლის მეთაურებად ისევე აი ჩვენი მეზობელი და მოკეთეები იქნება...

შტაბის წინ ფოსტა გაჩერდა.

— გაზეთი მეიტანე?—იკითხეს კანტიკუნტად ზოგიერთებმა, რადგან ამ უკანასკნელად ბევრს არაფერი სჯეროდა გაზეთში მოთავსებულ „ოფიციალურ“ ცნობების...

— როდინდელია? ოცდაექვსის?—დაინტერესდენ მაინც ზოგიერთები.

— „გორი.—დაიწყო ერთმა ოფიციალურ ცნობების ხმამაღალი კითხვა:

— „26 თებერვალი. ჩვენი ჯარები წინ მიიწევენ... სამ დღეში ავიღებთ მცხეთას და შევუტევთ ტფილისს“...

— რაო? მცხეთას ევიღებთო? წავხდი, რავა მცხეთა ასაღებად გაგვიხდა ასე მალე?—იტკიცა თავში ხელი ერთმა ნაბადწამოსხმულმა ასე ორმოცი წლის სოფლელმა და შიშით თვალები გადაატვა.

— მოქალაქენო!—ჩაერია საუბარში ერობის თავ-დე, რომელის ის იყო შტაბის შენობიდან გამოვიდა შალით თავპირშეთუთქნილი და შეჯგუფებული ხალხი რომ დაინახა მიმართულება იქითკენ დაიჭირა, სადაც გაზეთს კითხულობდენ.

ერობის თავმჯდომარემ ყური მოჰკრა ნაბდიან კაცის სასოწარკვეთილ წამოძახილს და...

— ნუ გაიკვირვებთ, მოქალაქენო, თუ ჩვენ ტფილისი დავთმეთ და დავტოვეთ...

— დავტოვეთ? რავა ღალატია თუ.. ვერ ისვენებდა ნაბდიანი და მთავრობის ხალხის ყოველ სიტყვაზე შენიშვნას იძლეოდა.

— დიახ, დავტოვეთ,—არწმუნებდა ხალხს ერობის თავმჯდომარე და ყოველგვარ მღელვარების გარეშე იძლეოდა „სათანადო“ ახსნა-განმარტებას, ფრონტებზე მომხდარ „ცვლილებათა“ შესახებ.—დავტოვეთ ტფილისი... მაგრამ არა იმიტომ, რომ ჩვენი სახელოვანი გვარდია და რეგულიარული ჯარი უძლური გამოდგა წითელ ურდოებთან ბრძოლაში, დავტოვეთ სრული შეგნებით, ანუ როგორც იტყვიან დიპლომატიური მოსაზრებით, დიახ, დიპლომატიური მოსაზრებით...

— ვერაფერი შვილი დიპლომატიაა...

— დიახ, სრული შეგნებით და დიპლომატიური მოსაზრებით—მესამეჯერ გაუსვა ხაზი ერობის თავმჯდომარემ უკანასკნელ გამოთქმას და სურებისაკენ მიმავალ გზას დააკვირდა.. გზაზე, მიმავალი, ეტყობოდა ფრონტიდან გამოპარული ჯარისკაცი, შენიშნა და გვარდიელებს ანიშნა: „დააკავეთ“-ო.

სამი შეიარაღებული გვარდიელი გაექანა მითითებულ ადგილზე.

მათ მიჰყვა კიდევ ორი...

შტაბიდან გამოვიდა „ლიუისი“-ს სისტემის ტყვიამფრქვევმომარჯვებული გვარდიელი, რომელმაც იქითკენ დაიჭირა მიმართულება. სადაც ხუთი მისი ამხანაგი ყოველგვარი სამხედრო წესების დაცვით მიიწევდნენ წინ ალყადასარტყმელად.

ქანცმილეული ჯარისკაცი აინუნშიაც არ აგდებდა თუ რა ხდებოდა მის გარშემო, უკვე სამშვიდობოს გასვლის შემდეგ და ზანტი, ულაზათო ნაბიჯებით ძლივს მიარღვევდა სახეიროდ გაუკვალავ თოვლს.

ერობის თავმჯდომარე კი განაგრძობდა:

— ჩვენ დავტოვეთ ტფილისი, ჩვენ დავთმეთ გორიც...

გორი?

დიახ გორიც... ჩვენ შეიძლება უბრძოლველად დავტოვოთ ქუთაისიც—დაიდაბლა ხმა ერობის თავმჯდომარემ...

— ქუთაისი ახლაც მიტოვებულიაო, როგორც ამბობენ—შენიშნა ვიღაცამ ხალხიდან.

— რაო; პროვოკაციაა... ბოლშევიკების მოსყიდული აგენტია... დაატუსაღეთ... საველე სასამართლოს გადაეცით.. ჩვენ ჯერ არ დაგვიტოვებია ქუთაისი... ჩვენ ჯერ არ გვიფიქრია ქუთაისის დატოვებაზე... ჩვენ საამისო ოფიციალური ცნობა არ მიგვიღია გენერალური შტაბიდან... ჩვენ ჯერ...

— თქვე დალოცვილო ზარბაზნების გრიალმა ყურის ბარაბანი გამიხეთქა ეს ორი დღეა და ამაზე მეტი ოფიციალური რაღა იქნება?



**ამერიკელი პიონერი გარრი აიზმანი ეწვია საბჭ. კავშირს მის პატივსაცემად პიონერებმა გამართეს მიტინგი, სადაც გარრი აიზმანმა წარმოსთქვა სიტყვა და აღნიშნა, რომ მიუხედავად დიდი რეპრესიებისა, ამერიკელი პიონერები მტკიცედ იბრძვიან პროლეტარიატის დაახლოვებისკენ წინააღმდეგ. გარრი აიზმანი მოუწოდებდა დაახლოვებას საზღვარგარეთ პიონერებთან, რათა შეერთებული ძალით გავფანტოთ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გავრცელებული ჭორებით.**

დიახ ეს საცდელი სროლა იყო და არა საბრძოლო... ქუთაისი ჯერ წაუბილწავია... ქუთაისი.. არა, ჩვენ შეიძლება დავთმოთ ქუთაისიც, დავთმოთ დიპლომატიური მოსაზრებით, მაგრამ...

— საჯევახოში რომ სროლაა, აქაც საცდელია ნეტაი თუ...

— ეგ ჩემი საქმე არ არის... ეს შტაბის საიდუმლოებას წარმოადგენს ეს... დიახ ჩვენ შეიძლება..—ერობის თავმჯდომარე დაიბნა, შერჩეულ სიტყვებით და მიკიბულ-მოკიბული გზით ვერავინ დააჯერა, ანგარიში აერია და... შეიძლება ჩვენ ნატანებიც დავუთმოთ ბოლშევიკებს მაგრამ—აქ კი ტონი შეიცვალა ერობის თავმჯდომარემ, ცილინდრი შეისწორა, განერვიულებულმა წვერი მოიფხანა და ხელების ქნევით განაგრძო:

— ჩვენ გავამაგრებთ ჩოლოქის ნაპირებს, ჩვენ გავამაგრებთ ბათუმსა და ბარცხანას, ჩვენ შევკრავთ გურიის საზღვრებს და აქედან გადავალთ შეტევაზე... გადავალთ შეტევაზე და...

—ბუხ-ბუ-ბუუ-ი!—ყრუდ დაიგუგუნა რაღაცამ ჰაერში და სალეროლელაშლილი ერობის თავმჯდომარე შეჩქეფდა მოულოდნელ ხმაურობაზე.

· — გვინვა იყო...

— გვინვა თებერვალში?..

— კი, გამიგონია.. დიდი ზამთარი იცის...

— ერთი შენც...

გრგვინვის მაგვარი ხმაურობა კიდევ განმეორდა...

— ახლოა თვარა, თოვლი ხომ ყრუა საერთოდ...

სურებისაკენ მიმავალ ჯარისკაცსაც წამოეწიენ..

ირგვლივ ალყა შემოარტყეს, წინ ტყვიამფრქვევი დაუდგეს და...

— ხელები მაღლა!—შესძახეს ჯარისკაცს „ზურგი"-ს რაინდებმა.

ჯარისკაცს ფერი ეცვალა.. გაფითრდა, გაუფერულდა.. უცებ ვერაფერი მოისაზრა და ღლიავმხრად გადაგდებული თოფი მხრეზე შეწება, ხელი ადგილიდან ვერ დასძრა, ისე გაშეშდა მოულოდნელ თავდასხმისაგან.

— ნუ თუ აქაც წითლები შემოვიდენ?—გაიფიქრა მან და თავს ანგარიში ველარ გაართვა—მაგრამ ეს ხომ გვარდიელია...—შეიცნო ერთი მათგანი ჯარისკაცმა.—ეს ხომ ბერძენიშვილია... დიახ გვარდიელი ბერძენიშვილი.. მერე? რა უნდათ ჩემგან? ტყვიამფრქვევითაც კი.. არა ეს გაუგებრობაა—გაუელვა თავში ჯარისკაცს..

— ადგილიდან არ დაიძრა თორემ...—მოიმარჯვა გვარდიელმა...

— მობრძანდით... თოფი წაიღეთ—დაისაწყლა თავი ჯარისკაცმა დაწკურულ თვალებით იქაურობა ჩაათვალიერა, ისე რომ თავი გვერდზე არ მოუბრუნებია.

— ხელები მეთქი!—ჯარისკაცმა ასწია მაღლა ხელები...

გვარდიელები მოლბა ჯარისკაცის ასეთ მორჩილებაზე, მაგრამ, აი ბერძენიშვილმა გადადგა ნაბიჯი ჯარისკაცის განსაიარაღებლად, რომ ჯარისკაცმა გიორგაძემ თავიდან გადაიგდო ღლიავმხრად გადაგდებული შაშხანა, ისკუპა ადგილიდან და საკმაოდ ღრმა ჩოლოროში უვნებლად ჩავარდა. უმალ თოფი მოიმველია და ანგარიშმიუცემლად დაუშვა გვარდიელებს.

—თუ თავი გებრალებათ, თავი გამანებეთ თორემ..—ჯარისკაცი თოვლში გაწვა და თავი თხრილის პირს ამოაფარა... ესროლა ჯარისკაცს ბერძენიშვილმა... ესროლეს სხვებმაც და იხუვლა ტყვიამ გიორგაძის შაშხანიდანაც.

ფეხმიტეხილი ბერძენიშვილი თოვლზე გაიშხლართა და თოვლი შეიღება ალისფერ სისხლით.

გახურდა სროლა ორივ ბანაკიდან...

აგერ ტყვიამფრქვევიც მოიმარჯვეს, მაგრამ დაჟანგებულმა „ლიუისმა" აღარ ისურვა მოძრაობა და მესამე ტყვია ლულაში გაეჩხირა.

სოფლები შიშის ზარმა აიტანა...

— შემოვიდენ?

— დაგვხოცავენ?—ალაპარაკდენ ნაცარში ფეხშეტრუცული დედაკაცები და ბავშვები დატუქსეს ხმაურობისათვის...

— გარეთ არ გახვიდე, ბიჭო, თვარა მოგკალი მე შენ.—ფრთხილობდენ სოფლის დედაკაცები და გარედ ცალი თვალით იყურებოდენ...

სროლა კარგა ხანს გასტანა და ვინ იცის როდის დამთავრდებოდა, რომ რომელიღაც გვარდიელმა „გასწირა" თავი ალალბედზე და გიორგაძეს ზურგიდან წამოეპარა...

წამოეპარა და...

— ვაიმე ცოლშვილო...—დაიგმინა მან გულისგამგმირავი ხმით, თოფი ხელიდან გააგდო და მუცელზე ხელები იტაცა...

თითებს შუა წვეთებად გადმოღვარა მუქი სისხლი და გიორგაძემ იგრძნო წარმოუდგენელი ტკივილები...

— არ ესროლო მეთქი...—გააფრთხილეს ერთმანეთი გვარდიელებმა და დაჭრილის ამოსაყვანად ჩახტენ ჩოლოროში...

— შენი ცოლდედის... წადი.. ვაიმე, ვაიმე დედავ სად გიკვდები...—გამწარდა დაჭრილი ჯარისკაცი და ახლოს არავინ გაიკარა ტკივილებისაგან გაცოფებულმა.

ქერა გვარდიელი მოშორებით იდგა, თავდახრილი დაჭრილის ტანჯვას თვალს ადევნებდა... თან გულში ფიქრობდა:

— ეს რა მომივიდა? მეზობელი მოვკალი...

დაჭრილები საავადმყოფოში გადაიყვანეს.. საჩქაროდ მათ ჭირისუფალს აცნობეს და...

— შვილო, შვილო, შვილო!..—აქუხდა მოთქმა და ტირილი საავადმყოფოში.

— დედა წყალი...—წამოთიძახა შუაღამისას ბერძენიშვილმა...

— წყა...ლი...—ამოუკუნდა ჯარისკაცს გიორგაძეც...

— შვილებო... შვილებო!—ქვითინებდა ბერძენიშვილის დედა და ორივე დაჭრილებს თანაბარ მზრუნველობით თავს ევლებოდა...

— ბიჭო, ერთმანეთი დახოცეთ... ერთმანეთი სატყვიოთ და სათოფეთ გეიმეტეთ.

არ გცხვენიენ... ჩვენ რაღას გვემართლებოდით, უბედურ მშობლებს და ჭირისუფლებს თქვე უსინდისოებო—მოთქვამდა უწყალოდ მოხუცი ჭირისუფალი, რომელსაც იმედი ქონდა, რომ დაჭრილები გამორჩებოდენ; მაგრამ, გათენდა მეორე დილა.., გადაიწმინდა... საავადმყოფოს ფანჯრებს მკრთალი მზის შუქი მოადგა და...

— დედა... მე... დედა მივდივარ.,. და...

— შვილო, შვილო!—იპოტნებოდა გულდათუთქული ჭირისუფალი, მაგრამ ბერძენიშვილი უკვე აღარ სუნთქავდა... ვერ მოასწრეს ერთის შესუდრვა და გამოსვენება რომ...

— დედა... მოგიკვდ..,—დაიხრიალა გიორგაძემ და ორი ახალგაზრდა ჯანღონით სავსე ვაჟკაცი გაქვავდა სამუდამოდ. „სახელოვანი გვარდიელი" და ჯარისკაცი სალიუტით მიაცილეს სასაფლაოზე და ერობის თავმჯდომარე კი ისევ თავგამოდებით უმტკიცებდა ყველას და ყველგან, რომ...

— „ჩვენ ვუტევთ ბოლშევიკურ ურდოებს ბათომიდან, ჩვენ გავამაგრებთ ჩოლოქის ნაპირებს... ჩვენ შევკრავთ გურიის საზღვრებს ნაცერცვალადან ქვაჭიშკარამდე მაგრამ... ვისლა სჯეროდა დღეს ერობის თავმჯდომარის..,

**პანტელეიმონ ჩხიკვაძე.**

(გაგრძელება იქნება)



16 დეკემბერს კომუნისტების ინიციატივით, ნიუ-იორკის უმუშევართა დელეგაცია ამხ. ენგდოლის მეთაურობით გამოცხადდა ნიუ-იორკის მუნიციპალიტეტის სხდომაზე და შეეცადა გადაეცა მუნიციპალიტეტისათვის მოთხოვნილება უმუშევართათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ. ნიუ-იორკის მერმა გამოიძახაპოლიცია, რომელმაც სასტიკად სცემა დელეგაციის მონაწილეებს. მაშინვე მუნიციპალიტეტის წინ გაიმართა უმუშევართა მრავალრიცხოვანი დემონსტრაცია. ცხენოსანი პოლიცია თავს დაესხა დემონსტრანტებს და მხეცურად სცემა. მრავალი დემონსტრანტი მძიმედ დაჭრილია. ათი კაცი,მათ შორის ამხ. ენგდოლი, დაპატიმრებულია.

სურათზე — პოლიცია აპატიმრებს დემონსტრანტებს.



სტალინისი

დამკვრელი მუშები ამოწმებენ ნავთის მილებს



გამომგონებელი მუშა თეოფილე მაჩაიძე

# ლიტერატურის საკითხები

„ყოველი კლასი, რომელიც ბრძოლაში იზრდება—რომანტიულია და მისი რომანტიზმი „ქარიშხლისა და შეტევის“ ტიპიურ სახეს ღებულობს; ყოველი განწირული კლასი, რომელიც ირღვევა და სჭკნება—რომანტიულია, სხვანაირია მისი რომანტიზმი, მოწყენილობის და სასოწარკვეთილების რომანტიზმში“ — ამბობს ლუნაჩარსკი. ჩვენი აზრით, ეს სრულიად მართალია. და დღეს მით უფრო, როდესაც ჩვენ რეკონსტრუქციის პერიოდის მაღალ ტემპების ეპოქაში ვცხოვრობთ. ყოვლად შეუძლებელია სოციალისტურ ქვეყნის მშენებელი ადამიანი არ იყოს ენტუზიასტი და თავისებური რომანტიკოსი.

ჩვენ ამ შემთხვევაში რომანტიზმი არ გვესმის ვიწრო შკოლური გაგებით. ჩვენ არ გვწამს რომანტიზმი წარმავალ კლასის, რადგან ასეთ რომანტიზმს არ შეუძლიან ჩვენ გაგვიკეთოს რამე.

ყოველი კლასი, რომელიც დაღუპვის პირასაა მისული, იგი რომანტიკოსია, და იხედება წარსულ დიდებისაკენ. კლასი, რომელიც ისტორიის მიერ გამოდის სამოქმედო ასპარეზზე, ისიც რომანტიკოსია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იგი ზვერავს ხვალინდელ დღეს და ისახავს მომავალ პერსპექტივო გზებს.

ჩვენს სინამდვილეში ორ კლასს, ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის წარმოებული ბრძოლა პროლეტარიატის სასარგებლოდ მთავრდება. ჩვენ ვიმარჯვებთ ყველა ფრონტებზე და ისტორიაში ჯერ არ ნახულ ნაბიჯებით მივდივართ სოციალიზმისაკენ. პროლეტარული კულტურა ყალიბობის პროცესშია და დღითი-დღე მიდის წინ ჰეგემონიის მწვერვალებისაკენ.

პროლეტარული კულტურა აძარცხებს ბურჟუაზიულ კულტურას. ძველი ქვეყნის რომანტიკოსები ერთხელ კიდევ ცდილობენ მწუხრის არიის დამღერებას ჩვენს დღევანდელ ყოფაზე, მაგრამ დამკვრელი ტემპები იმდენად სწრაფია, რომ მათ ამის დრო არ რჩებათ.

ჩვენ ვაშენებთ ახალ ქვეყანას და ახალი ქვეყნის რომანტიკოსები—ენტუზიასტები ვართ. ჩვენ გვწამს ჩვენი გამარჯვება და ჩქარი ნაბიჯებით მივდივართ წინ. ჩვენ „სულიერ სიმშვიდეს“ ვეძებთ არა წარსულში, არამედ მომავალში. ჩვენ, ვზვერავთ ხვალინდელ დღეს და არა გუშინდელს. ჩვენ ვიხედებით წინ და არა უკან და აი სწორედ აქ არის განსხვავება წარმავალ და მომავალ კლასის რომანტიზმს შორის.

ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება ამას ადასტურებს. ჯერ კიდევ მე-19-ტე საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც ფეოდალიზმმა დაიწყო გახრწნა და სამოქმედო ასპარეზზე კი გამოჩნდა კაპიტალიზმი, ფეოდალურ კლასის მწერლებიც ამღერდენ რომანტიულად და ფეოდალურ ყოფას იავნანას უღიღინებდენ, მაგალითად ალ. ჭავჭავაძე თავის „გოგჩის ტბა“-ში უმღერს წარსულ დიდებას, მთელი რიგი მწერლები მაშინდელ ეპოქისა გარკვეულ კლასობრივ ტენდენციების მატარებელნი არიან.

მე-19-ტე საუკუნეში გამეფებული რომანტიზმი ქართულ სინამდვილეში არის რომანტიზმი წარმავალ კლასის, რომელიც ტოვებდა სამოქმედო ასპარეზს. თუ რომ წარსულში მწერლებმა შექმნეს მნიშვნელოვანი ეპიკალური ტილოები, ეს აუცილებლად თავისი კლასის გამარჯვების რწმენის აუცილებლობის ნიადაგზეა აღმოცენებული. ჩვენი კლასიკები ღრმად იყვნენ დარწმუნებულნი თავისი კლასის უპირატესობით და ისინიც თავიანთ ვიწრო კლასობრივ ასპექტათ ჭვრეტდენ მოვლენებს.

დღევანდელი ჩვენი ეპოქის მაჯის ცემის გადმოცემა შეუძლებელია მუშათა კლასთან ახლოს ყოფნის გარეშე. დღეს ყოველი პროლეტარული მწერალი შეიარაღებული უნდა იყოს თავისი კლასობრივი იარაღით. დღეს, მაიაკოვსკის თქმისა არ იყოს, „პოეტი ის კი არ არის, ვინც დადის დახუჭუჭებული ბატკანივით და პეტელობს ლირიკულ სასიყვარულო თემებზე, არამედ პოეტია ის, ვინც ჩვენს გამწვავებულ კლასიურ ბრძოლის დროს მიაქვს თავისი კალამი პროლეტარიატის შეიარაღებულ არსენალში, რომელიც არ გაურბის არავითარ შავ სამუშაოს, არავითარ თემას რევოლუციაზე, სახალხო მეურნეობის აღმშენებლობაზე და სწერს აგიტკებს ყოველგვარ სამეურნეო საკითხებზე“.

ქართველ მწერლების ნაწილი დღეს აბსოლიუტურად არაფერს არ სწერს, თუ სწერს, წარმავალ კოშმარების და ზმანების რომანტიზმითაა მოვლენები ათვისებული, ისინი თავისებური რომანტიკოსები არიან, როგორ არ უნდა იყვნენ, როდესაც ფეოდალურ - ბურჟუაზიული კლასი კვდება და პროლეტარული კი იმარჯვებს. განა კ. გამსახურდია, მ. ჯავახიშვილი, ალ. აბაშელი და სხვები თავიანთ კლასის წარმომადგენლები არ არიან? განა ისინი რომანტიკოსები არ არიან, რომლებიც წარსულ თამარ მეფის დიდებისაკენ გვეძახიან? როგორ არ შეიძლება ადამიანმა ჩათვალოს შ. დადიანი ფეოდალურ კლასის ჰიროსუფლად, როდესაც იგი სწერს „უბედურ რუსს“, „ათეს“ და თამარ მეფის ეპოქის დიდებისაკენ გვაძახის.

„წმინდა“ ლირიკა, როგორც ჟანრი, დღეს მოკვდა და სამაგიეროდ მძლავრად გაშალა ფრთები პროლეტარულმა ლირიკამ. თუ დღეს პროლეტარული მწერალი არ არის ენტუზიასტი, დღევანდელი დროის რომანტიკოსი, თუ მას არა აქვს აღმაფრენა, ფანტაზია ზომიერი დოზით, მაშინ მისი შემოქმედება იქნება მხოლოდ და მხოლოდ ფაქტების მშრალი რეგისტრაცია. მაგრამ პროლეტარულ მწერლობაში რომანტიზმი არ უნდა ლახავდეს თავის კლასობრივ საზღვრებს და იონა ვაკელსავით არ უნდა გვეძახოდეს წარსულისაკენ. რომანტიზმს და აღმაფრენას ყველაზე მედგრად შეუძლიან თავი იჩინოს ლირიკაში, რადგან ლირიკა უმთავრესად შინაგან გრძნობათა გამომზეურებაა სოციალურ გარემოცვასთან დაკავშირებით; თუ მწერალს არა აქვს პათოსი და გაქანება, მაშინ იგი სქემატიზმის ვიწრო რკალებში ემწყვდევა.

დღეს პროლეტარული ლირიკა პასუხს უნდა აძლევდეს იმ გაზრდილ ამოცანებს, რომელიც ამ ჟამად სოც. რეკონსტრუქციის პერიოდმა დააყენა: ჩვენ ვფიქრობთ აღმაფრენა და ფანტაზია განსაზღვრულ კლასობრივ ჩარჩოებში აუცილებელია მწერლისათვის. ჯერ კიდევ 1922 წელს ამხ. ლენინი ლაპარაკობდა: „ამხ. ლარინი ძლიერ ნიჭიერი კაცია—ლაპარაკობდა ლენინი, და დიდი ფანტაზიის პატრონი. ეს ღირსება კი მეტად ძვირფასია. ტყუილად ფიქრობენ



## ქუთაისში შენდება ახალი ელექტრო სადგური

თითქო ფანტაზია მარტო პოეტისათვის იყოს საჭირო, ეს სულელური ცრუ აზრია. მათემატიკაში კი საჭიროა იგი, დიფერენციული და ინტეგრალური აღრიცხვების აღმოჩენა კი შეუძლებელი იქნებოდა თვინიერ ფანტაზიისა. ფანტაზია უდიდესი ღირებულების თვისებაა. მაგრამ ამხ. ლარინს ეს თვისება, ცოტა არ იყოს, ჭარბათა აქვს. მაგალითად, მე ასე ვიტყოდი: ამხ. ლარინის მთელი ფანტაზია რომ რ. კ. პ. ყველა წევრს თანასწორად გაუყოთ, მაშინ კარგად გამოვიდოდა საქმე".

**ამხ. ლენინის** ეს დებულება ყველასათვის უდავო უნდა იყოს. გადაჭარბებული, გადამლაშებული არაფერი არ ვარგა, რადგან შესაძლებელია ამ გადაჭარბებამ ჩვენ ჩქარი ნაბიჯით წაგვიყვანოს უკან და მიგვაბრუნოს პირით წარმავალ კლასის რომანტიზმისაკენ. ჩვენი პროლეტარული მწერლები ზოგჯერ ამ მდგომარეობას არ უწევენ ანგარიშს და „ალვირახსნილი" რომანტიზმით თარეშობენ. **ლენინი** სრულიადაც არ ცდებოდა, როდესაც **ლარინზე** ზემოთმოყვანილ სიტყვებს ლაპარაკობდა. ფანტაზია პროლეტმწერლის არ უნდა გამომდინარეობდეს არსებულიდან, არამედ იგი მჭიდრო კავშირში უნდა იყოს რეალობასთან. დღევანდელი დღის რომანტიკოსი არ უნდა იყოს მარტო ფანტაზიორი, იგი პრაქტიკულად უნდა აკეთებდეს საქმეს. პროლეტარულ ლირიკამ თავისი ემოციონალური ზეგავლენით, რომელიც რაციონალობაში გადადის, უნდა შესძლოს მასებში ენტუზიაზმის გამოწვევა. პროლეტარულ მწერალმა თავის აღმაფრენით არ უნდა დაჩრდილოს იმ თემის სოციალური მნიშვნელობა, რომელზედაც იგი ლექსს სწერს. ეს კი ჩვენში ხშირად ხდება.

წარმავალ კლასის მწერლების რომანტიზმი არ შეიძლება იყოს აღმაფრენის, იგი უფეროულია. აღმომავალ კლასის კი დინამიური, ცოცხალი და სიჯანსაღით სავსე, პროლეტარული ლირიკა დღეს იმით იმარჯვებს, რომ მან თავისი ჯანსაღი აღმაფრენით შესძლო ნაწილობრივ სადღეისო საკითხებთან დაახლოვება.

ზოგიერთ ჩვენს პროლეტარულ მწერლებში იმდენად ძლიერია ფანტაზია და რომანტიზმი, რომ ისინი სრულიად წყდებიან რეალობას და მთვარის და ვარსკვლავის ციმციმით ირთობენ თავს. (გ. კაჭახიძე „ცხოვრების ხევაეში" და სხვ.).

აუცილებლად მეტად ჯანსაღი პოეტური აღმაფრენის პათოსითაა ამხ. **ალიო მაშაშვილი**, რომლის ლექსის დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ მან დაიწყოს ნელი ტონით და თანდათანობით გაძლიერებით იგი დაასრულოს მთელი ხმით. მაგალითად: როცა კითხულობთ მის **„პოეტი კაპიტან"-ს:**

**აჰა, დღეს მინდა**
**ისევ ცეცხლი დავატრიალო,**
**რომ, გავიხსენოთ, ამხანაგო,**
**ბრძოლის ნაღმი ხმა,**
**გულო, ათასჯერ დაფლეთილო**
**და ნატყვიარო,**
**ტყვიების ხრეშით**
**მოკირწყლული მოედანი ხარ".**

ასეთი მებრძოლის პათოსითაა დატენილი თითქმის ყველა მისი ლექსები. ამ მხრივ აუცილებლად **მაშაშვილის**, როგორც პოეტის, გამარჯვებათ უნდა ჩაითვალოს მისი უკანასკნელი ლექსი **„დამკვრელი ბრიგადები"**, სადაც მანქანის ბრძოლისა და შრომის რიტმში მოცემულია დამკვრელი ბრიგადების მთელი სულიერი განცდა. რომ **მაშაშვილი** დღევანდელ ჩვენი ყოფის რომანტიკოსი არ იყოს, იგი ვერ შესძლებდა ასეთ პათოსიან ლექსების მოცემას, როგორიც მან შექმნა.

არა ნაკლებ კომკავშირულ პათოსით ხასიათდება ამხ. **ირაკლი აბაშიძე**, რომლის უკანასკნელი ლექსები მეტყველობენ იმის შესახებ, რომ იგი ყოველდღიურად თავისი ლირიკით უახლოვდება ჩვენს წინაშე მდგარ სადღეისო საკითხებს.

დასასრულ, ჩვენი წერილის დასკვნა შემდეგი იქნება: დღეს, როდესაც ხუთწლედს ვანხორციელებთ ოთხ წელიწადში, ყოვლად შეუძლებელია პროლეტარული მწერალი არ იყოს ენტუზიასტი და ბრძოლის რომანტიკით შეპყრობილი. **პროლეტარული მწერალი** არ წარმოადგენს გრძნობაგამშრალ ადამიანს. პროლეტარულმა მწერალმა კონკრეტულ ლირიკის საშუალებით უნდა შესძლოს სადღეისო საკითხებზე პასუხის გაცემა. რომანტიზმი, ფანტაზიაა განსაზღვრული დოზით, როგორც ამას ლენინი სწერდა. პროლ. მწერლობას, როგორც გამარჯვებულ კლასის მწერლობას, უნდა ახასიათებდეს.

ჩვენ არ გვწამს რომანტიზმი წარმავალ, მომაკვდავ კლასის. ჩვენი რომანტიზმი არ არის დამჭკნარი ფოთლებჩამოყრილი, იგი დღით-დღე იზრდება თავის საკუთარ კლასის გაზრდასთან ერთად. ჩვენი რომანტიზმი უნდა იყოს მოწოდების ზარი. გამარჯვებული კლასის რომანტიზმი შეტევის და ქარიშხლიანი რომანტიზმია, რომელსაც არავითარი საერთო არ დარჩენია განწირულ კლასის დამჭკნარ რომანტიზმთან. ჩვენ ყოველდღიურად მივდივართ წინ და ძლიერდება ჩვენი აღმაფრენა, ჩვენი ენტუზიაზმი. პროლ. მწერალმა უნდა შესძლოს დღევანდელ ყოფის მთელი თავისი წინააღმდეგობებით მოცემა კონკრეტ ლირიკის საშუალებით.

პროლ. მწერლობა, როგორც გამარჯვებულ კლასის მწერლობა, უნდა წავიდეს წინ აღმაფრენისა და ენტუზიაზმის გზით, რადგან ჩვენი ყოველდღიური საქმიანობა აღმაფრენისა და ენტუზიაზმის შედეგია. პროლეტარული ლირიკა კი ამ გზებს ვერ გასცდება, იგი ჩვენი აზრით ამ მიმართებით უნდა განვითარდეს.

ქ. მელაძე.



სტამბა „კოლექტივი"-ს საამქინძაო ცეხი დამკვრელი ტემპით მუშაობისათვის დაჯილდოვებულია ამხ. სტალინის სახ. წითელი დროშით. **სურათზე**—ცეხის დამკვრელი მუშები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი ფოტო-ქრონიკა



ლენინის სახელობის თბილისის ტყავის ქარხანაში ძველი ქვაბების მაგიერ დაიდგა ახალი, საბჭოთა კავშირში გაკეთებული გიგანტი-ქვაბები. სურათზე; მარცხნივ—ძველი ქვაბის აღება; მარჯვნივ—ახალი საბჭოთა ქვაბები.



წითელარმიელები ვარჯიშობენ ცეცხლმფრქვევის ხმარებაზე.



ფოთის შუქურასათვის ბალონების დატენვა გაზით ნავთსადგურის გაზის ქარხანაში.



ნავთის ამოღების ზრდასთან დაკავშირებით, ბათომში შენდება ნავთის ახალი რეზერვუარები.



საბჭოების გადარჩევა. საარჩევნო კამპანიის უკეთ ჩატარებისათვის სოცშეჯიბრების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა ტყავის ქარხანა № 1-ში.



ენერგიის მიწოდების რეგულიაცია ზურნაბადის ჰიდრო-სადგურში.

# უცხოეთის ფოტო-ქრონიკა

## ინტერვენტების წინააღმდეგ ამერიკელი მუშები



საფრანგეთის კონსულის სადგომთან ამერიკელმა მუშებმა მოაწყეს დემონსტრაცია საბჭოთა კავშირისადმი ინტერვენციის საპროტესტოდ

## ჰამბურგში უმუშევართა დემონსტრაცია



კაპიტალისტების გულის მოსაგებად პოლიცია გულმოდგინედ მუშაობს და ჰფანტავს უმუშევართა დემონსტრაციას

## ასე ცხოვრობენ ამერიკაში უმუშევრები



ამერიკის უმუშევარი მუშები ყუთებში ცხოვრობენ

## თეთრი ტერორი ხანკოუში.



საერთოდ ჩინეთში გლეხთა და მუშათა მოძრაობა იზრდება. ხუბეის, ძიანის და ხუანის პროვინციებში და განსაკუთრებით ხანკოუში მოძრაობის ზრდასთან ერთად იზრდება ჩინეთში ჯერ არ ნახული თეთრი ტერორიც. რამდენიმე კვირაა, რაც ქუჩებში ხვრეტენ აჯანყებულ მუშებს, რომელთა რიცხვიც ხან რამდენიმე ათეულს აღწევს. სურათზე — პოლიციას აჯანყებულები მიჰყავთ დასასჯელად.

## სტუდენტების მოძრაობა იაპონიაში



ოცი დღის განმავლობაში გრძელდებოდა სტუდენტების გაფიცვა. გაფიცვაში მონაწილეობას იღებდა 13.000 სტუდენტი

საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა „კოლექტივი“ კამოს ქ. № 68. მთავლ. 232. შეკ. № 377 ტირაჟი 5.000